სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია. ნელიწადი პირველი.

ბრძოლაში ჰპოვებ შენს უფლებას!
ბიბლიოთეკა

შაბათი, 24 აგვისტო 1918 წ.

ბრძოლა

№ 13

გაზეთის ფასი 40 კაპ.

მოსულ ცნობებით თერგის ოლქში ყაზახები ამარცხებენ ბოლშევიკებს. ბაქოში ძალა უფლება გადავიდა ფლოტის დიქტატურის ხელში. შეკრულია წინასწარი ზავი ინგლისელებთან. ახალ ათონთან საქ. რესპ. სახალხო გვარდიასა და ოსმალთა ასკერებს შორის შეტაკება მოხდა.

ორგანო საქართველოში მომქმედ სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტისა.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 9 მან. ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი 1 მან., მეოთხეზე 80 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ: *Тифлисъ, Контора Гав. „Шрома“, Чавчавадзевская ул. Софійская школа.* სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება 10—11 საათამდე.

რედაქციის მისამართი: *Тифлисъ Редакція газ. „Шрома“ Чавчавадзевская ул. Софійская школа.*

მიიღება ხელის მოწერა ყოველ-დღიურ გაზეთ

„შ რ ო მ ა“-ზე

გაზეთი ღირს ერთი თვით 9 მანეთი.

მისამართი: ტფილისი, ჭავჭავაძის ქუჩა № 4 გაზეთ „შრომის“ კანტორა.

ექიმი ი. კ. აბაკელია
შინაგანი ავადმყოფობა.
განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულ-კერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა.
ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე.
ბეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86

ქ. თბილისი, 24 აგვისტო.

ოსმალეთის იმპერიალისტებს სოხუმის ოლქში ბედი არ სწყალობს. ვერც აშკარა დესანტით და ვერც ფარული აგიტაციის საშუალებით ოსმალეთის იმპერიალისტებმა ვერ შესძლეს თავიანთი ანექსიონისტური ზრახვათა სისრულეში მოყვანა. დესანტმა სავსებით გამოამჟღავნა აფხაზეთის რეაქციონერების გეგმები და ფარდა ახადა ოლქში ბოლშევიკურ მოძრაობის ზოგიერთ მხარეებს. მაგრამ კონტრ-რევოლიუციას აფხაზეთში მაინც არ სძინავდა, ის განაგრძობდა ფარულად ენერგიულ მუშაობას.

როგორც უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს, აფხაზეთის თურქოფილებს ბედმა აქაც უმტყუნა. აფხაზეთის სახალხო საბჭოს შემარცხენე ფრთამ აფხაზეთში პატარა გადატრიალება მოახდინა და მით ბოლო მოუღო აფხაზეთის ფეოდალების ავანტიურას. ესენი კარგა ხანია ცდილობდენ საქართველოს და აფხაზეთის დემოკრატიის გათიშვას. აფხაზეთის ფეოდალების მოღალატურმა პოლიტიკამ თავი იჩინა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ბათუმში საზაო მოლაპარაკება სწარმოებდა. აფხაზეთის მცხოვრებთა სახელით ელ. შერვაშიძე იქ შეეცადა მოლაპარაკება გაემართა ოსმალეთსა და მის მოკავშირეებთან, მაგრამ აფხაზეთის მშრომელი ხალხის ნამდვილმა ხმამ ის აიძულა ავანტიურაზე ხელი აეღო. ამას მოყვა დესანტი კოდორთან. აფხაზეთის რეაქციონერები აქაც დამარცხდენ. ამის შემდეგ იწყება აფხაზეთში ჩუმი და ინტენსიური აგიტაცია. თურქოფილებმა ფეხი მოიკიდეს სახალხო საბჭოს ერთ ნაწილში. ისინი ეწეოდენ ფართო აგიტაციას და აყენებდენ ისეთ მოთხოვნილებებს, რომლებიც გულისხმობდენ აფხაზეთის სუვერენულ სახელმწიფოებრივ ყოფას. ისინი მოითხოვდენ სტამბოლის კონფერენციაზე საკუთარი დელეგატების გაგზავნას, საკუთარი ჯარის შექმნას და სხვ. აფხაზეთის თურქოფილურმა ელემენტებმა ისარგებლეს იმ ანარქიით, რომელიც ბოლშევიკების გამოსვლების გამო ოლქში მძვინვარებდა და მეტად ხელსაყრელი პირობა შეკრეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან. სოხუმის ოლქის რეაქციონერების მიზანი იყო ესარგებლათ საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალური მეგობრობით და ნიადაგი მოემზადებიათ აფხაზეთში ოსმალეთის ბატონობისათვის. ეს თავის დროზე გაუგო მათ აფხაზეთის დემოკრატიის მოწინავე ნაწილმა, მან გადატრიალება მოახდინა და მით გადაარჩინა აფხაზეთის ხალხი პოლიტიკურ-კულტურულ სიკვდილს.

თამამათ შეიძლება ითქვას, რომ ამ გადატრიალებით აფხაზეთის დემოკრატიის ისტორიაში იწყება ახალი ხანა. პოლიტიკურათ სუსტმა და შეუკავშირებელმა აფხაზეთის დემოკრატიამ მოიკრიბა თავისი ნორჩი ძალები, შეებრძოლა შავ რეაქციას და სახელოვანი გამარჯვება ხვდა წილათ!..

მან მკაფიოდ სთქვა, რომ თავის ბედს ის უკავშირებს საქართველოს დემოკრატიის ბედს.

ეს გარემოება ჩვენ ბევრ რამეს გვავალებს. საქართველოს დემოკრატია ვალდებულია დიდი ყურადღებით და მხურვალე თანაგრძნობით შეხვდეს აფხაზეთის ერის ჭეშმარიტ დემოკრატიულსა და რევოლიუციონურ მოთხოვნილებათ.

აფხაზეთს არ შეუძლია დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება აწარმოოს—ის მეტად სუსტი და მოუმზადებელია ამისთვის. ჩვენ ვალდებული ვართ ეს აშკარად უთხრათ აფხაზეთის დემოკრატიას, რომელიც გამოფხიზლების გზას უკვე დაადგა, მაგრამ აფხაზეთის დემოკრატიას შეუძლია და უნდა ისარგებლოს ყველა იმ კულტურულ-პოლიტიკურ სიკეთით, რომლითაც სარგებლობს საქართველოს დემოკრატია. ამ სიკეთეთა რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე მიწის საკითხის სამართლიანად და რადიკალურად გადაჭრა, რაც აუცილებელი პირობაა აფხაზეთის სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრების მოსაწესრიგებლათ.

ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ თუ ამასთან აფხაზეთის სამართლიანი ეროვნულ-კულტურული მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულ იქნა, შავრაზმულ თურქოფილების აგიტაციას ერთხელ და სამუდამოთ ნიადაგი გამოეცლება.

რესპუბლიკანური მთავრობის და სოციალისტური პარტიების მოვალეობაა ძმური ხელი გაუწოდონ აფხაზეთის გამოფხიზლებულ დემოკრატიას, და ყოველი ღონით ხელი შეუწყონ მას დაწყებულ ბრძოლაში.

აქეთკენ მოგვიწოდებს ახალგაზდა აფხაზეთის გმირების სახელოვანი გამარჯვება!..

ეროვნული დემოკრატები და სოფელი.

როგორ სწყვეტენ ეროვნული დემოკრატები მიწის საკითხს?

ისინი მოითხოვენ, რომ ხაზინამ მიწა გამოიყიდოს მემამულეებისაგან. ეს გამოსყიდული მიწა უნდა დაურიგდეს წვრილ მესაკუთრეებს კერძოსაკუთრებათ. ერთის შეხედვით ეს მშვენიერი პროგრამაა. მართლაც დაჯერდით კარგათ: თუ ხაზინა მიწას გამოისყიდის და გლეხებს დაურიგებს—ამას რა სჯობია?! ვინ იქნება ისეთი რეგვენი, რომ სხვამ მიწა უყიდოს და უარი სთქვას, არ მიიღოს?! მაგრამ სამწუხაროთ საქმე ისე მარტივი არ არის, როგორც ეს პირველი შეხედვიდან სჩანს. ზოგიერთს, სამწუხაროთ, ჰგონია, რომ ხაზინა თავის თავად ივსება ოქროთი. თითქოს მას არავითარი კავშირი არ ჰქონდეს მშრომელი ხალხის ქონებასა და ცხოვრებასთან, ნამდვილათ კი ყველამ იცის, რომ ხაზინის ფული ეგივე ხალხის ფულია, რომ ხაზინაში არაფერი იქნება, თუ თვით ხალხმა არაფერი შემოიტანა. როდესაც გლეხს ეუბნებიან: მიწას ხაზინა გამოისყიდისო, ის ფიქრობს, რომ აქ მისი არაფერი დაიხარჯება, მას ხაზინა მეფის ან ვინმე სხვისი ჰგონია და ის კი არ იცის, რომ თუ ხაზინამ რაიმე იყიდა და ფულები დახარჯა—ეს ყველა მშრომელ გლეხობას გადახდება! მაშასადამე, როდესაც ეროვნული დემოკრატები ამბობენ მიწა ხაზინამ გამოისყიდოსო, ეს იგივეა, რომ ვსთქვათ გლეხებმა მიწა თავის ფულით იყიდონ. ეროვნული დემოკრატები თვალის ასახვევად გიიძახიან—მიწას ხაზინა გამოისყიდისო, იმას კი არ ეუბნებიან გლეხებს, რომ ხაზინის მიერ მიღებული ფულები მათი პროცენტებით ისევ გადახდება სოფლის მუშებს!..

ხაზინის ფულით რაიმეს ყიდვა სჯობია საკუთარი ჯიბიდან ამოღებული ფულით იყიდო, ვინაიდან უკანასკნელ შემთხვევაში შენს მდგომარეობას ანგარიშს გაუწევ და იყიდი იმდენს, რამდენის საშუალება გაქვს ისე, რომ შემდეგ პროცენტების გადახდა არ დაგჭირდეს.

ახლა ვნახოთ ამ პროგრამის სხვა მხარეებიც. ეროვნული დემოკრატები მოითხოვენ, რომ მემამულეებს ჩამორთმეულ მიწებში უსათუოდ ფულები მიეცეს. რათა, რა უფლებით?!

ასეთი მოთხოვნილება სრული უსამართლობაა!.. მემამულეებმა ათასნაირი თაღლითობით, ხრიკებით, სხვისი ექსპლოატაციითა და დამცირება დამონავებით მიწები ხელში ჩაიგდეს, ისინი ასი წლობით ბატონობდენ მიწის მუშებზე, ცხოვრობდენ ფუფუნებაში და განცხრომაში. მიწის მუშები ჰაპან წყვეტაში მუშაობდენ, ხოლო მათ ნაშრომ ნაოფლარს ითვისებდენ მუქთა ხორა ფეოდალები. ახლა ბ. ბ. ეროვნული დემოკრატები გამომდგარან და გვეუბნებიან: როგორ შეიძლება მემამულეებს უფასოთ მიწა ჩამოვართვათ, ეს უსამართლობა იქნებაო. რა იქნება, ბატონებო, უსამართლობა ის, რომ იმათ, ვინც ბატონობდა და განცხრომაში იყო კიდევ მიწის მუშების ჯიბიდან ფულები არ ვაძლიოთ თუ ის, რომ მიწის მუშებს მოვაჩვენოთ თითქოს მათ ინტერესებს ვიცავთ, ხოლო ფეოდალებს ჯიბეები გაუსქელოთ?!

მემამულეებს მიწა არ გაუჩენიათ, მათ თავიდან დაიტაცეს მიწები და გაბატონდენ მშრომელ გლეხებზე, ასე რომ სრულებით გაუგებარია, რატომ უნდა გამოიყიდოს დღეს მშრომელმა ხალხმა მემამულეებისაგან მიწები, მაშასადამე, არ არის მისაღები ეროვნულ დემოკრატების მოთხოვნილება, რომ მემამულეებისაგან გამოყიდული იქნას ხაზინის მიერ გაღებული ფულებით მიწები.

ახლა ვნახოთ, რამდენათ მისაღებია ეროვნული დემოკრატების რჩევა, რომ ჩამორთმეული მიწები კერძო მესაკუთრეებს დაურიგდეთ საკუთრებათ. ვსთქვათ რომ ხაზინის საშუალებით მიწები გამოვიყიდეთ და კერძო მესაკუთრეებს დაურიგეთ. ცხადია, ამით მიწის საკითხი ვერ გადაწყდება. ვსთქვათ, მიწის გამოყიდვის შემდეგ გლეხს შეხვდა 5 დესეტინა. შესაძლოა ეს ნორმა ეყოს მის ოჯახს, მაგრამ ვსთქვათ, რომ გლეხს ექვსი ვაჟი ყავს, როცა ესენი წამოიზარდებიან, შესაძლოა მათ მოისურვონ მიწის გაყოფა. მაშინ თითოს შეხვდება რაღაც 2 ქცევაზე ცოტა მეტი. აშკარაა, რომ სოფლის მუშა 2 ქცევა მიწით ოჯახს ვერ აცხოვრებს, ის ისევ აუტანელ პირობებში ჩავარდება, მან ეს მიწა ან სულ უნდა გაყიდოს და ქალაქში გადმოსახლდეს და გაამრავლოს უმუშევართა რიცხვი, ან სოფლათ დარჩეს, და ისეთივე ტანჯვასა და ვაებაში იცხოვროს, როგორც მისი წინაპრები. აქედან აშკარაა, რომ მიწის კერძო საკუთრებათ დაყოფა ოდნავათაც ვერ შეამსუბუქებს მიწის მუშების მდგომარეობას.

მიწის სახითხი ისე უნდა გადაწყდეს, რომ შემდეგში მდიდრებმა ვერ შესძლონ მიწების კვლავ ხელში ჩაგდება. თუ ეროვნული დემოკრატების პროგრამა გავიდა ეს ასე არ მოხდება, ვინაიდან, როგორც დავინახეთ, მიწაზე ყიდვა-გაყიდვის უფლება რჩება და, მაშასადამე, მდიდრებს საშუალება აქვთ, როცა გლეხს გაჭირვება კარს მოადგება, რაკი ის ჩალის ფასათ ჩაიგდოს ხელში მისი მიწა-წყალი. ჩვენ ვამბობთ: გლეხს მიწა სავაჭროთ კი არ უნდა, დასამუშავებლათ, რომ თავი ირჩინოს. ბურჟუაზიას კი სურს, რომ მიწა სავაჭრო საგნათ გახადოს. ეროვნული დემოკრატები სწორედ იმას ცდილობენ, რომ ბურჟუაზიის ეს საურვილო სინამდვილეთ აქციონ, გლეხები გააბრიყვონ და მათი თანხმობით შექნან ისეთი საადგილ მამულო ურთიერთობანი, რომ გლეხობას კისერზე ახალი ბატონი ბურჟუაზია დააჯდეს!..

სოფლელი.

საქართველოს დამფუძნებელი კრება.

დუხჭირ პირობებში მოუხდა სახელმწიფოს შექმნა საქართველოს. ჯერ იყო და ჩვენ შევყურებდით რუსეთის დამფუძნებელ კრებას, იქით იყო მიქცეული მთელი ჩვენი გულის ყურა. მაგრამ დაიმსხვრა ეს იმედი, რუსეთის დამფუძნებელ კრებას ვერ ეღირსა არა თუ საქართველო, ვერ ეღირსა თვით რუსეთიც და ყველა ერი იძულებული შეიქნა თვითონ ეპატრონებია თავისი მიწა წყლისათვის, თვითონ შეექმნა სახელმწიფოებრივობა და თავი დაეცვა შემოსეულ უამრავ მტერთაგან. ყველაზე უკვთ ეს შესძლო პატარა საქართველომ. ის 26 მაისიდან შეუდგა საკუთარი სახელმწიფოს შექმნასა და განმტკიცებას. დიადია, მძიმეა ეს საქმე. ჩვენ არ მოგვეპოებოდა სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, არ მოგვეპო-

ბოდა კანონმდებლობა, ყველაფერი ეს უნდა შეიქმნეს, განმტკიცდეს. ცხადია, ასეთი მძიმე მოვალეობა უნდა იკისროს მთელმა ხალხმა წარმომადგენლობითი საშუალებით. მთელი ხალხი უნდა იღებდეს მონაწილეობას ამ საალმშენებლო მოღვაწეობაში, ის გაფაციცებით უნდა ადევნებდეს ყურს თავის საკანონმდებლო დაწესებულების მაჯის ცემას. ეს უკანასკნელი უნდა იყო ხალხის სულიერი მიდრეკილების ბარომეტრი.

მაგრამ ეს დღეს არ არსებობს. საქართველოს აქვს საკანონმდებელო ორგანო: ეროვნული საბჭო: დღეს დღეობით ის ეწევა კანონმდებლობით მუშაობას, მაგრამ ის სავსებით მოწყვეტილია ხალხს, ხალხი მას არ იცნობს, არც აფასებს და არც მოელის მასგან შველას. ეს ბუნებრივი მოვლენაა, ვინაიდან ეროვნული საბჭო მხოლოთ სუროგატია და მეტიარაფერი. ხალხს არ აურჩევია, არ შეუქმნია ის და არც იცნობს მას. ამიტომ ამ კანონმდებლობას რაღაც თავზე მოხვევის ხასიათი აქვს. ყველასაგან მიღებულია ის აზრი, რომ ეროვნული საბჭო არის დროებითი ორგანო, რომლის მიზანს შეადგენს საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევა, მანამდის კი ის ვალდებულია გაუძღვეს სახელმწიფოებრივ ცხოვრებას და ნიადაგი მოამზადოს ნარმალური სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და კანონმდებლობისათვის. დღეს თითქმის ყველაფერი გაკეთებულია, ცხოვრება ნარმალურ კალაპოტში დგება, საძირკველი უკვე გასკვნილი. და დროა შეუდგეთ სახელმწიფოს დემოკრატიულათ აგებას. ეს საქმე უნდა იკისროს **სრულიად საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, მოწვეულმა საყოველთაო, თანასწორი პირდაპირი დაფარული კენჭის ყრით.** ეს ორგანო შეადუღებს ხალხსა და კანონმდებლობას, შექმნის ერთ სხეულს, ერთს სულსა და ერთ გულს. ის განამტკიცებს რევოლიუციის მონაპოვართ, ჩამოაყალიბებს სახელმწიფოს სხეულს და შექმნის იმ მტკიცე საფუძველს, რომელზედაც აყვავდება თავისუფალი საქართველო. საჭიროა საჩქაროთ დაინიშნოს არჩევნები, რათა ბოლო მოეღოს იმ გზა აბნეულობას, რომელსაც მოუცავს ჩვენი ხალხი. საქართველოს დამფუძნებელი კრება ბოლოს მოუღებს ანარქიას და არეე-დარეეას და შექმნის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

მაშ გაუმარჯოს სრულიად საქართველოს დამფუძნებელ კრებას!

ფარი

პ რ ე ს ა.

გაზ. „ერთობა“ ეხება საერობო არჩევნებს სენაკის მაზრაში და გამარჯვებას დღესასწაულობს. წერილის სათაური კითხვას შეიცავს: ვინ გაიმარჯვა? ჩვენ ამ კითხვაზე ვუპასუხებთ მხოლოდ მაშინ, როცა საერობო არჩევნები მთლად დასრულდება სენაკის მაზრაში. ჯერ-ჯერობით კიდევ არის ბევრი ადგილი, სადაც ვსდეკები არ იჩქარიან არჩევნების მოხდენას. ამ პატარა წერილში საყურადღებოა ორი ადგილი: 1) თითქოს ბლოკის მოწინააღმდეგეები დაუშვებელ ზომებს მიმართავდენ და 2) თითქოს ბოლშევიკებმა ესერები გაათეთრეს. თუ როგორ გაათეთრეს ბოლშევიკებმა ესერები იქიდან სჩანს, რომ სენაკში მათ ამომრჩევლები გარეკეს. ყველამ იცის, რომ ბოლშევიკები ბოიკოტს უცხადებდენ არჩევნებს. და რომ ეს ასე არ მომხდარიყო, დღეს სხვა-ფერ გუნებაზე იქნებოდა ბლოკი. რაც შეეხება დაუშვებელი ზომების მიმართვას, ამაზეა ნათქვამი: ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო. ჩვენ გვაქვს საბუთები, რომ ბლოკის ადმინისტრაცია სდევნიდა ჩვენს პროპაგანდისტებს, ატყვევებდა კიდეც, რომ ბლოკი გვებრძოდა საზიზღარი დემაგოგიისა, ცილისწამებისა და ძალადობის საშუალებით. გაზეთი „ხალხის მეგობარი“ ჩვენს შესახებ სწერდა: „მათი გაზეთები ამყრალებულია საარჩევნო სამზადისითო. ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ ჩვენს გაზეთში არ ყოფილა არც ერთი წერილი საარჩევნო ხასიათისა, არც ერთი მოწოდება. კანდიდატთა სიაც არ გამოგვიქვეყნებია გაზეთის ფურცლებზე, ახლა მოუსმინოთ თვით ბლოკს. ამას წინეთ იგივე გაზეთი გვაბრალებდა, თითქოს ჩვენმა ჯარის-კაცებმა დაარბიეს ქუთაისი და ჩვენი ამხანაგები, აფეთქებენ თბილისში სახალხო ქონებას, ახლა ეი რასა სწერენ: („ხალხის მეგობარი“ № 2[illegible]).

არის კიდევ ერთი პარტია, რომელიც დიდი პრეტენზიებით ევლინება ქართველ საზოგადოებას. მე მოგახსენებთ სოციალისტ რევოლიუციონერებზე. ეს მყვირალა ხალხი არც ახლა იშლის ყვირილს. საარჩევნო სამზადისით ამყრალებულია მათი გაზეთი, მათი ლიტერატურა და მათივე მოღვაწეობა. ესერებზე ბევრი ლაპარაკი საჭიროც არაა, მათი უსაქმურობა ისედაც ყველასათვის ცხადი და ნათელია. თავის მოღვაწეობას თუ კი ეს მოღვაწეობა გააჩნიათ ერთი რამე კიდევ მიუმატეს. ეს არის ყაჩაღებისა და ქურდების დამცველობა, ეს არის ხალხის ამწიოკებლებისა და შემწუხებლების გამოსარჩლება. ესერები იცავენ იმ ქურდს და ყაჩაღს, საჩხერეს რომ ცარიელ ურმებით მიადგნენ და სავსე ურმებით წავიდნენ, ბაღდათში რომ ტომრები აივსეს, სამეგრელოში რომ ხალხს სცარცვავენ, ლეჩხუმში რომ საზოგადოებას ბეგრაგენ და სხვა. მითხარი ვინ მოგწონს და გეტყვი ვინ ხარ, და ასევე ითქმის ესერების შესახებაც. ის ვინც ყაჩაღებს ექომაგება, ქურდებს ესარჩლება, ვერასოდეს ვერ დაიცავს ხალხის ინტერესებს. ჩვენ ლიკვიდაცია ვუყავით ბოლშევიკურ მოძრაობას, გავანთავისუფლეთ ხალხი მათ თარეშისაგან, მაგრამ ახლა მათი ადგილი უნდა დაიკავონ ესერებმა. გუშინ ბოლშევიკები აძლევდა ყაჩაღებსა და ქურდებს ტომრებს რომ ეცარცვათ ხალხი და დღეს ესერები მისცემენ. არ დაიღუპოთ თავის თავი, არ დაუჯეროთ მათ ლამაზ ფრაზებს და არ მისცეთ მათ არც ერთი ხმა.

ჩვენ ბოდიშს ვიხდით მკითხველის წინაშე ამ ქუჩური წერილის გადმობეჭვდისათვის. ქუთაისის გუბერნიამ კარგათ იცის ვინ როგორი საშუალებით იბრძოდა და იბრძვის, ამის შემდეგ ყველამ თვითონ განსაჯოს ვინ მიმართავდა დაუშვებელ ზომებს: მენშევიკებისა და ფედერალისტების ბლოკი თუ სხვა ვინმე.

მთავრობაში

გარეშე საქმეთა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: 1. უნდა სამხედრო მინისტრმა დაუყონებლივ გაგზავნოს ჯარი აბასთუმანსა და აწყურში, იმ ადგილების დასაკავებლად, რომელიც დარჩა საქართველოს ბათუმის ხელშეკრულების ძალით, ხოლო ქართველ ჯართან ერთად გაიგზავნოს გერმანელთა ჯარიც. 2. გადაეცეს ადერბეიჯანის მთავრობას მუსულმანთა კორპუსის ქონება, ამ უკანასკნელის აღნუსხვით და შესაფერ ოქმის შედგენით.

———

მიწათ-მოქმედების მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: დაევალოს ფინანსთა სამინისტროს დაუყონებლივ და რიგს გარეშე მიანდოს მიწათ-მოქმედების სამინისტროს, მიწის რეფორმის დაჩქარებით ცხოვრებაში გატარება, საჭირო თანხა ამ საქმისათვის გახსნილია 1,250,000 მან. კრედიტიდან.

———

მთავრობის თავმჯდომარის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: შემენილ პუნრით პირველად დაკმაყოფილონ ჯარი, შემდეგ მუშები,—სახელმწიფო დაწესებულებათა დაბალი მოხამსახურენი, დამშეული ადგილები და შემდეგ კი დანარჩენი მოქალაქენი.

———

სამხედრო მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: მიენდოს სამხედრო მინისტრს „კადეტსკი კორპუსის“ ლიკვიდაცია და მიეცეს ამისათვის საჭირო თანხა.

———

სახალხო განათლების მინისტრის მოხსენება თბილისის გიმნაზიების ქართველებსა და არა ქართველებს შორის განაწილების შესახებ მოწონებულ იქნა და მიენდო მას მიიღოს ზომები, რომ გიმნაზიის ხარჯები მისივე შემოსავალმა დაფაროს.

———

სახალხო მასწავლებელთა მდგომარეობის შესახებ კანონ-პროექტი, მოწონებულ იქნა მთავრობის მიერ.

———

მიწათ-მოქმედების მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა მიანდოს მიწათ მოქმედების მინისტრს შეშის დაგროვების საქმე.

უკანასკნელი ცნობები.

შეტაკება. სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ატყობინებენ, რომ ახალი ათონის რაიონში შეტაკება მოხდა სახალხო გვარდიელებსა და ოსმალთა ასკერებს შორის. ჩვენის მხრივ არიან დაჭრილნი და დახოცილნი.

საქარ. სამხ. გზაზე. კავკავიდან და ყაზბეგიდან ჩამოსულების გადმოცემით, საქართ. სამხ. გზაზე მოგზაურობა მეტად ძნელია. დარიალის ხიდის იქით ორ ალაგას ზვავია ჩამოწოლილი; მგზავრები ფეხით გადადიან ზვავზე, ბარგები ხელით გადააქვთ, ცარიელი ფურგუნები კი 8 ცხენით გადააქვთ. მგზავრების უმრავლესობა ვერ ბედავს ადგილიდან დაძრას, რადგანაც კავკავიდან ხმები მოდის, რომ მის ახლო-მახლო მგზავრებს სძარცვავენ.

ყაზბეგის იქით მგზავრებს აჩერებენ. ამ დღეებში ერთი ფურგუნი უკანაც კი დაბრუნდა კავკავიდან. კავკაზში უწესრიგო სროლა იყო. სად. ყაზბეგში სურსათი სრულიად არ იშოვება. რუსთა ერ. საბჭომ დაადგინა მოგომარეობის გამორკვევამდე კავკავისაკენ არავინ გაიგზავნოს.

დეპეშები

კავკავი—ბაქოდან. კავკავი, თერგის საოლქო საბჭოს. 31 ივლისს. კრიტიკულ მომენტში, როდესაც გერმანეთ-ოსმალეთის ჯარი აპირებდა ბაქოს აღებას, ბოლშევიკურ მთავრობამ უღალატა ბაქოს პროლეტარიატს. ძალა-უფლება აიღო ფლოტის დაქტატურამ, რომელმაც შეაკავშირა ჯარი და პროლეტარიატი და მტერს უკან დავახევინეთ. შეკრულია სამხედრო-ტეხნიკური წინასწარი ზავი ინგლისელებთან და ამ ჟამად მტერი განდევნილია ქალაქის მიდამოებიდან და უკან იხევს. გთხოვთ გვაცნობოთ, როგორი მდგომარეობაა თერგის და ყუბანის ოლქებში.

დიქტატურის თავმჯდ. **ტიუშკოვი.**

სრულიად რუსეთის ახალი მთავრობა.

სამარაში დაარსდა კომიტეტი, რომელიც შესდგება მოწვეულ ეროვნულ ყრილობის წევრებიდან. ეს კომიტეტი აცხადებს თავს სრულიად რუსეთის მთავრობათ. წევრების უმრავლესობა კომიტეტში სოც.-რევოლიუციონერებია.

დონი, ყუბანი და უკრაინა.

დონის მთავრობამ პრესის წარმომადგენლებს გააცნო უკრაინასა და დონის შორის ხელშეკრულების უმთავრესი პირობები. ამ პირობებში სხვათა შორის ნათქვამია, რომ ისინი სცნობენ ურთიერთს დამოუკიდებელ სახელმწიფოებათ, სუვერენიტეტს და სადამოუნო დაწესებულებების დაარსების უფლებას. ყუბანის მთავრობა მოითხოვს საქონლის გაცვლა-გამოცვლის აღდგენას უკრაინასთან.

ახალი ამბავი.

რუსთა ეროვნულ საბჭოს ატყობინებენ ურმიიდან, რომ იქ დარჩენილი რუსები და აგრეთვე ადგილობრივი სომხები და აისორები გარშემორტყმული არიან ოსმალებით და ქურთებით. მათ მოელის დიდი საფრთხე.

— **სახალხო განათლების სამინისტროს** ნება დაურთავს ალ. საათაშვილისთვის გახსნას ტფილისში ბუხჰალტერიის კურსები, ქართულ ენაზე. კურსებზე მიიღებიან როგორც ვაჟები ისე ქალები, წლოვანობის განურჩევლად. დუშეთის ქუჩა, სახლი № 9. ჩაწერა შეიძლება დილის 10-დან 12 საათ. ყოველ დღე.

— **დატუსაღება.** შინაგან საქ. სამინისტროსთან არსებულმა რაზმმა შეპყრო: ქალაქის გამგეობის კონტროლიორი სტეპ. კარ. ალავერდოვი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მოქმედებდა. 2) სერგო თ. ბინჯკირია სხვადასხვა შანტაჟურ ორგანიზაციებში და დაცემაში მონაწილეობის მიღებისათვის. 3) ი. ე. არუთინოვი, რაზმის წევრის ახვლედიანის ქრთამის შეძლევისათვის. 4) ა. გ. ოქრუაშვილი საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოსვლისათვის და დუშეთის აჯანყებაში მონაწილეობის მიღებისათვის. 5) კ. კ. გოგელიანი შანტაჟურ ორგანიზაციებში მონაწილეობის მიღებისათვის და კაცის დაჭრისათვის. 6) აკაკი გოველიანი, როგორც საქართველოს რესპუბლიკისათვის მავნე პირი.

— **მთავრობის მიერ სპირტის რეკვიზიციის შესახებ** დადგენილების გამოტანის გამო, ქალაქში არაყი და კონიაკი 40—50 პროცენტით გააძვირეს.

— **შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი** გერ. მახარაძე დაბრუნდა კავკავიდან და თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

— **გარნიზონის უფროსმა დაატუსაღა:** შტაბს კაპიტანი ხელაევი მეცხოვნე ჯარის უფროსის შეურაცხყოფისათვის, პოდპ. მგელაძე მკვლელობისათვის, ჯარისკაცები: ფირცხალაიშვილი, ლომჯარია და ჰელიძე მკვლელობისათვის; ჯარისკაცები სამხარაძე და მიქაბერიძე, ბრძანების შეუსრულებლობისათვის.

ქუთაისის ამბები.

ქუთაისის გუბერნიის კომისარს წარუდგა ლეჩხუმლების დელეგაცია. კომისარმა უპასუხა დელეგაციას, რომ მან ულტიმატუმის ხასიათის წინადადება მისცა ლეჩხუმლებს.

შემდეგ გუბ. კომისარმა განმარტა, რომ ის პირები, რომელთაც ბრალი ედებათ მხოლოდ შეიარაღებულ გამოსვლაში განთავისუფლებულ იქნებიან პასუხის გებიდან, ხოლო დასჯილი იქნებიან ის პირები, რომელთაც ბრალდებათ ყაჩაღობა. იარაღი აუცილებლათ ჩაბარებულ უნდა იქნეს. თუ ლეჩხუმლები არ დაწყნარდებიან, ამბობს კომისარი, ერობის შემოღება მაზრაში დაიგვიანებს და მცხოვრებლებს ამით ბევრი რამ დააკლდებათ, სამხედრო ოპერაციების შეჩერება მაზრაში შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ლეჩხუმლები სრულად ჩააბარებენ იარაღს მთავრობას.

პატარა ფელეტონი.

რა არის ხოლერა?

—რა არის ხოლერა?

ამ კითხვაზე, მე მგონია, ბევრი მოქალაქე ვერ მისცემს პასუხს. ყველა ხომ მეცნიერი არ არის და აბა რას გაიგებს რომელიმე მდაბიო მოქალაქე ხოლერის ავ-კარგს.

მეცნიერება კი ამის შესახებ ფრიათ გარკვეულსა და მკაფიო პასუხს იძლევა. თუ ჩვენ გადავხედავთ მედიცინას და სხვა ასეთ თავსამტვრევ რამეებს, იქ ამოვიკითხავთ შემდეგს:

„—ხოლერა არის ისეთი ავათმყოფობა, რომელიც კლავს ადამიანს.“

დიახ, აშკარათ სწერია ასე, ამაში შეძლია ყველა მოქალაქე დავარწმუნო და თუ ვისმეს ეჭვი შეეპარება ჩემს სიტყვაში მიმართოს ექიმს გომართელს. ისიც დაამოწმებს თავის ავტორიტეტული სიტყვით და გამოცდილებით, რომ ეს ასეა.

მაშასადამე, ხოლერა არც ისე საშიშრამ ყოფილა. მით უმეტეს თბილისელ მოქალაქეთათვის...

ხოლერა სხვადასხვა სახისაა, მაგრამ საერთო მათში ის არის, რომ თანახმათ მეცნიერებისა დაბოლოს ყველა ასალმებს ადამიანს წუთი სოფელს.

სამწუხაროთ, ჩვენშიაც მოიპოვება ისეთი ინდივიდები, რომელთაც არ უნდათ შეხვდენ ხოლერას. უნდათ—რაც უნდა დაუჯდეთ—მაინც იხეტიალონ თბილისის მტვრიან ქუჩებზე.

და ისინი ეძიებენ ხოლერის საწინააღმდეგო საშუალებას. თუმცა ეს ძლიერ გასაკვირი კია, მაგრამ მეცნიერება ასეთ ადამიანებს მფარველობს და მათთვის გამოგონილია ის საშუალებანი, რომელიც ხოლერას ააცდენენ.

ცხონებული სოლომონიც ამბობდა რომ: „მეცნიერება რაღა მეცნიერებაა თუ კაცს ჭკუა ვერ ასწავლაო?“...

და სწორეთ ამ ჭკუამ და მეცნიერებამ შეგვამუშავეა ხოლერასთან საბრძოლველი საშუალებანი.

მეორეჯერ მე არ დავსწერ და არც წავიკითხავ ამ საშუალებებს და გთხოვთ ერთხელ და სამუდამოთ დაიხსომოთ:

1. დღეში სამჯერ სვით ჩაი—შაქრის მაგივრათ შიგ ჩაყარეთ შაბიამანი, ან გოგირდი—კუპს უხდება.

2. სვით დღეში სამი ჩაის ჭიქა კირის რძე—(ოთხი ნაწილი კირი და ერთი ნაწილი წყალი) გულს ამაგრებს.

3. სვით წყალი, მაგრამ ტყვილია თითქოს გადაუდულებელი წყალი არ უნდა დალიოთო. თუ მოგწყურდეთ—მოიცადეთ, სანამ წვიმა მოვიდოდეს, როცა მოვა—დაწექით გულ-ალმა, შეუშვირეთ პირი წვიმას და სვით რამდენიც გსურთ. (ზოგიერთები ურჩევენ ძაბრის პირში ჩადგას. ესეც შეიძლება—სტომაქის და კუჭის სიმაგრის მიხედვით).

4. სჭამეთ ხილი, მხოლოდ დაამზადეთ შემდეგ ნაირათ—ჩაყარეთ ატამი ან მსხალი ორმოში, გადაასხით კირის რძე. სამი დღის შემდეგ ამოიღეთ, გააძვრეთ კანი, გადაასხით „სულემა“ და მიირთვით, ძაან უხდება კაცს...

5. ქუჩაში არ უნდა გამოხვიდეთ ისე, წინ და წინ თუ კარბოლის სიმყავე არ გადაისხათ.

როცა მითი დასველდებით—შემდეგ გადიყარეთ თავზე კირის ფქვილი. საუკეთესო საშუალებაა. ერთი, რომ ვერვინ მოგეკარებათ, და თუ ვინმე მოგაჯდათ, უსათუოთ სულს დალევს.

6. ყოველ დილით—ათჯერ უნდა უყნოსოთ „გარჩიცის“ ხეთს. შემდეგ მითი დაასველოთ ბ ბბა და ჩაიდოთ ცხვირში. ეს ამაგრებს ფილტვებს და ცხვირის ნაწილს.

7. სვით შამპანიური, თუმცა ყიდვას არ გირჩევთ. სჯობია გახსნათ საკუთარი ქარხანა, გაავსოთ ბოჭკა შამპანიურით, ჩაიყოთ „კრანი“ პირში და სწოვოთ.

არის კიდევ სხვა საშუალებები, მაგრამ ზემოხსენებულნი—აუცილებელია.

თუ ხოლერით დაზარალებულთ ამ დარიგებამ არ უშველოს დაუყონებლივ მიმართოს ექიმ ნიკო ელიავას, ქალაქის გამგეობაში.

დანარჩენი მან იცის.

მახათი.

ო მ ი.

ბერლინი, 22 აგვ. ომის ცნობა. დასავლეთი ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. კემელის მიდამოებში მოვიგერიეთ მტრის ნაწილობრივი იერიშები გზატკეცილ ლოკერ-დრანოტვერის ორივე მხრით. არრასის სამხრეთით ინგლისელებმა კვლავ დაიწყეს ძლიერი იერიშების მოტანა. ინგლისის კორპუსებს და ნოვოზელანდიელებს მოჰქონდათ ძლიერი იერიშები აუნველის და ანგრის შუა. ინგლისის საკავალერო კორპუსი, დაბანაკებული ფრონტს უკან, მზად იყო ბრძოლისათვის. მტრის ქვეითა ჯარმა არტილერიისა და მრავალ ჯავშნოსან ავტომობილების დახმარებით დაიწყო შეტევა 20 კილ. ფრონტზე. ჩვენ ხაზების წინ დამარცხდა მტრის პირველი შტურმი. კონტრ-იერიშით ჩვენ უკან დავიბრუნეთ ის ტერიტორია, რომელიც წინათ სტრატეგიულ მოსაზრებებით ჩვენ დაუთმეთ მტერს. მტერი მთელი დღის განმავლობაში განაგრძობდა ძლიერ იერიშებს, მაგრამ ყველა იერიშები მოვიგერიეთ და დიდი ზიანი შივაყენეთ მტერს. მტრის იერიშები ანკრთან და გამელთან უშედეგოთ (?) დამთავრდა. დავაზიანეთ მრავალი ავტომობილები. სომისა და უაზის შუა სიწყნარეა. ნუაისონის სამხრეთ დასავლეთით ჩვენ დავიხიეთ უკან. ჩვენმა ჯარებმა კარლეპომის ტყიდან უაზის უკან დაიხიეს.

ვენა. 22 აგვ. იტალიის ფრონტი მთა სიმონენკე მოვიგერიეთ მტრის იერიშები.

ალბანეთის ფრონტი. ჩვენმა საჰაერო ესკადრილიამ იერიში მიიტანა იტალიის სანგარზე ვოლონთან და ჩაჰყარა მრავალი ყუმბარები.

სტამბოლი, 22 აგვ. პალესტინის ფრონტი. ფრონტზე სწარმოებს საარტილერიო ბ გაცხოველებული საჰაერო ბრძოლა.

სტამბოლს 21 აგვისტოს ღამით თავს დაესხა მტრის საჰაერო ესკადრა და ჩამოყარა მრავალი ყუმბარები.

ციურიხი, 21 აგვ. სტეფანის სააგენტოს ცნობით იტალიაში ახლო მომავალში მოელიან ამ რიკის ჯარს.

რ უ ს ე თ ი.

დამფუძნებელი კრებისათვის.

კიევიდან მოსული ცნობებით ქალაქი სამარა შექმნილა იმ ცენტრით, რომელიც აერთიანებს ყველა ბოლშევიკების მოწინააღმდეგე ძალებს დამფუძნებელი კრების მოწვევის ლოზუნგის გარშემო.

სამარაში არსებობს კომიტეტი დამფუძნებელი კრების წევრებისგან შემდგარი.

ხსენებული კომიტეტი, რომელშიაც შედიან ბრუშვიდი, ვოლსკი, კლიმუშკინი, ეგორ ლაზარევი, ნესტეროვი, ფორტუნატოვი და სხვა.—შესდგება სოციალისტ-რევოლიუციონერებისაგან. კომიტეტი შეესებულია ყაზახთა და თათართა წარმომადგენლებით. ორენბურგის ყაზახებთან და სხვადასხვა ეროვნულ ჯგუფებთან მომხდარია სრული შეთანხმება. ხსენებულ კომიტეტს ემორჩილება

მთელი ვოლგის რაიონში მომქმედი სამხედრო ძალები, მათ შორის ჩეხო-სლოვაკები. სამარაში შესდგა მოხალისეთა დიდი ჯარი, ესერთა ხელმძღვანელობით. მოხალისეთა უმეტესობა ყოფილი ჯარისკაცებია. გარდა ამისა გამოცხადებულია მობილიზაცია 2 წლის; ხალხი ამ მოწოდებას მხურვალეთ შეხვდა და დიდძალი ჯარი სდგება.

სიზრანისა და სიმბირსკის აღებაში ეს ჯარი დიდ მონაწილეობას ღებულობდა. დიდი სამტკიცე გამოიჩინეს ჯარში ჩაწერილმა ურალის ქარხნების მუშებმა.

მთელ ფრონტს ეწოდება—„დამფუძნებელი კრების ფრონტი.“ მთავარ სარდლათ დანიშნულია სოციალისტ-რევოლიუციონერი ჩეჩეკი. ყოველივე ხმები, თითქოს ალექსეევი იყოს ჯარების უფროსი—სიცრუეა.

გარეშე საქმეთა განყოფილების სათავეში სდგას სოც.-რევ. ცენტრალურის კომიტეტების წევრი ვედენიაპინი, რომელსაც მოლაპარაკება აქვს გამართული მოკავშირე სახელმწიფოსა და ციმბირის მთავრობასთან. ქალ. ომსკში ძალების ორგანიზაციას ხელმძღვანელობს დამფუძნებელი კრების წევრი ს.-რ. არგუნოვი, პავლოვი და რამოდენიმე სხვა ს—რ—ი.

სამარის და ომსკის კომიტეტების მუშაობას ხელს უწყობენ ყველა ეროვნულ-სოციალისტური პარტიები და დემოკრატიული ჯგუფები მემარცხენე კადეტებამდე. ამ მოკლე ხანში უნდა მოხდეს ყველა საოლქო ცენტრების გაერთიანება მთავრობის შესაქმნელათ.

ეს მთავრობა უნდა ჩაუდგეს სათავეში განახლებულ რუსეთს.

„ბ“.

თერგის ოლქში.

ყაზახების მოქმედება.

მოსულ ცნობებით, მოხალისეთა ჯარმა გენ. დენიკინის მეთაურობით დაიკავა: ტიხორეცკაია, კავკაზსკაია, არმავირი, სტავროპოლი. ყუბანის ყაზახებმა დაიკავეს ეკატერინოდარი. თერგის ყაზახებმა მოხალისეთა რაზმების დახმარებით დაიკავეს პიატიგორსკი, ესსენტუკი, გეორგიევსკი და სხვა პუნქტები. ყაზახების ხელშია აგრეთვე გროზნა. დენიკინის მოხალისეთა ნაწილებმა დაიკავეს ცარიცინი. საბჭოები გაუქმებულია.

ბაქოს ფრონტზე.

ბაქოდან ჩამოსულ ქართველ ჯგუფს (მათ შორის ერთი ოფიცერი) გადმოცემით, როგორც კი მოხდა გადატრიალება იქ, მაშინვე ახალ მთავრობის მიერ გამოცხადებულ იქნა მობილიზაცია. ქართველების უმრავლესობა ჯარში შესვლაზე უარს ამბობდა, რის გამო მათ დაუწყეს დევნა შევიწროებას ამის შემდეგ ქართველები იძულებული გახდენ მიეტოვებიათ ქალაქი. თათრების დახმარებით მათ შეძლეს ადერბეიჯანში გადასვლა. ამ დროს ბაქოში იყო 500 ინგლისელი. მათი რაზმი შესდგება სპარსეთიდან ჩამოსულ სამხედრო პირებისა და ჟანდარმებისაგან. სხვა ცნობებით ბიჩერახოვის რაზმი შესდგება 3,000 კაცისაგან, ამათ რიცხვში არ შედის შაუმიანის მთავრობის ჯარი. ბიჩერახოვის რაზმი, რომელშიც რამოდენიმე ყაზახიც შედის, წარმოადგენს საგრძნობ ძალას.

ამას წინად ბიჩერახოვი გაემგზავრა პეტროვსკში, სადაც მან შეაყენა რაზმი, რომლითაც დაბრუნდა ბაქოში. საერთოდ ბაქოელებმა გადასწყვიტეს არ გადავიდენ იერიშზე და თავისი მოქმედების ფარგალი მხოლოდ თავ-დაცვით შემოზღუდონ. ყოველ შემთხვევაში, თუ რუსეთიდან ძლიერი დახმარება არ ექნა, ბაქოს დაცვა რამოდენიმე დღის საკითხია. ოსმალებს მოუვიდა და მოუდის დიდი ახალი ძალა.

ხმები ბაქოში დიდძალ ინგლისელ ჯარების ჩამოსვლის შესახებ უსაფუძვლოა.

ნ. ფულუკიძის გასამართლება

(სტენოგრაფიული ანგარიში).

გაგრძელება.

თავმჯდ. წაიკითხავენ მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ფულუკიძის შესახებ საბრალმდებლო ოქმს. (კითხულობენ). ბრალდებულო ფულუკიძე, მოისმინეთ რა ბრალდებაა წამოყენებული თქვენს წინააღმდეგ? სთვლით თავს დამნაშავეთ თუ არა?

ბრალდებული: იმ რედაქციით არა, როგორც საბრალმდებლო ოქმშია. რევოლვერი რომ ვესროლე, ეს მართალია, მხოლოდ იმ აზრით კი არა, რომ მომეკლა.

თავმჯდ. გსურთ თუ არა რისამე განმარტება?

ბრალდებული: რასაკვირველია. თავიდან უნდა მოგიყვეთ რა გარემოებანი უძღოდენ წინ ამ შემოხვევას. იმ ბინაზე ვცხოვრობ მე აგერ 4 წელიწადია. როდესაც ის ბინა დავიქირავე, იქ მხოლოდ შიშველი კედლები დამხვდა. სრულიად არაფერი სხვა. ის ბინა შევაკეთე მე, მოვაწყვე სამზარეულო, შევღებე, ახალი კედლები ავაგე, ელექტრონის განათება გავიყვანე, ყველაფერი წესრიგში მოვიყვანე იქა ვმუშაობდი—კანტორა მქონდა მოწყობილი 4 წლის განმავლობაში. მიუხედავათ იმისა, რომ კადეტთა კორპუსის გამო ჩემი ცოლ-შვილი კავკაზში სცხოვრობდა და მხოლოდ დღესასწაულებში ჩამოდიოდა, მე მაინც მთლიანად მეჭირა ბინა; მიუხედავათ იმისა, რომ ყველამ იცის, გამოწვეულმა მოწმეებმაც მაგალ. პოლკოვნიკმა შერვაშიძემ, რომელიც რამდენჯერმე ყოფილა ჩემთან სტუმრად, ნათესავებმა, ჩემმა მახლობლებმა—დადიანმა, ექიმმა ჯაფარიძემ მთხოვა ორი ოთახი. მე მაინც ვერ დავუთმე, რადგან მე თვითონ მჭიროდა, იმიტომ რომ ვერ ვიტანდ, როდესაც უცხო ვინმე სცხოვრობს ჩემს ბინაზე, მე თვითონ ნერვებ აშლილი კაცი ვარ. ყოველთვის, როდესაც კი დასვენება მინდოდა, ყველა კარებს ჩავკეტავდი, მოსამსახურეს თითქმის დარაჯად ვაყენებდი, რომ არავინ შემოსულიყო. ამიტომ არავინ გარეშეს არ უშვებდენ ჩემთან, როდესაც ვისვენებდი. მიუხედავად ამისა, რომ წელიწადში ათას მანეთ ქირას ვიხდიდი, 12000 მანეთზე მეტი დამიჯდა მისი გადაკეთება. ამას გარდა კიდევ 6000 მანეთს მიჩივიან, რომ პირვანდელი სახით ჩავაბარო ბინა. აი როგორ იყო.

მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც აქ ვმუშაობდი, აზრადაც არ მომსვლია არასოდეს, რომ კანონიერი გზით ვინმე შესძლებდა ჩემი ბინის რეკვიზიციას. 4 წლის განმავლობაში ჩემი ოჯახი აგარაკად სცხოვრობდა ბორჯომსა და კისლოვოდსკში, მე კი საქმეების გამო აქა ვცხოვრობდი. ამ წლის მაისს სოფელში წავედი, რომ სახლი შემეკეთებინა და შემდეგ ოჯახიც გამეგზავნა. წამოსვლას ვაპირებდი, ამ დროს ჩამოვიდა ჩემი ცოლი სოფელში და გადმომცა, რომ, როდესაც ბარგს ვგზავნიდით, მოვიდნენ გობეჩია, ექიმი აბაკელია და ვიღაც მანდილოსანი და რეკვიზიციის ძალით დაიჭირეს ბინაო. მაშინ არ შემეძლო წამოსვლა ქუთაისიდან. ჩამოვედი 10 დღის შემდეგ. ჩამოსვლისას სულაც არ მომითხოვია ბინის დაცლა; მოვიწვიე ექიმი აბაკელია და ალექსანდრე არაბიძე და ვთხოვე: აი, ბატონებო, დაათვალიერეთ ბინა, შეიძლება ვაჭარბებდე, ყველაფერი დაათვალიერეთ, აღიარეთ თქვენი სინდისის წინაშე, თუ შეუძლია ამდენი საქმის პატრონს ერთ ოთახში მოთავსება და ისიც როგორ ოთახში?“ ჩემთვის დატოვებული ოთახი კარებთანაა, სადაც ყოველ წუთს მიმსვლელ-წამსვლელია. ექიმმა კი ჩემი ოთახის პირდაპირ აიღო მეორე ოთახი და შესავალში უნდა მოეწყო მისაღები ოთახი. აქ ამბობენ, რომ ურთიერთი შეთანხმებაო... მოსამსახურე მათ არა ჰყავდათ, ყოველ წუთას ხარსა რეკდენ მომსვლელნი. ძალაუნებურათ მე უნდა გამეღო კარები. „აი, ახლა მითხარით, თუ შესაძლებელია აქ ცხოვრება თქვენი აზრით? მე კი შეუძლებლადა ვთვლი და გადავალ სადმე“. მაშინ აბაკელიამ მითხრა: „მართლაც სამი ოჯახის მოთავსება ამ ბინაზე ყოვლად შეუძლებელიაო. და აი, თუ ერთ ოთახს აღმოსავლეთის მხრით მოგვცემთ და მეორე დიდიას ნადგომ ოთახს და თუ გობეჩიები გადავლენ, მაშინ თქვენ აიღებთ სამ ოთახს გიორგის ქუჩის მხრით. მაშინ შეიძლება მოვთავსდეთო“. შეიძლება მოიგონოთ ამის საწინააღმდეგო არა მქონია რა, ყველამ იცის: აბაკელიამ, დიდიამაც, რომ საწინააღმდეგო არა მქონდა რა თუ კი მოვთავსდებოდით. ჩვენ რომ ასე გადავწყვიტეთ, ექიმმა აბაკელიამ მითხრა: „იცით რა, თუ ამის შესახებ პირადათ მე ვეტყვი რამეს გობეჩიებს, ეჰვი შეეპარებათ, რომ მე სურვილი მაქვს დარჩენისა და მათი გაძევება მსურს აქედან. სჯობიან სხვისი პირით შეუთვალეთ, აი თუნდა არაბიძის პირით, რომელიც კარგათ იცნობს ვლ. გობეჩიას“. თავიდანვე ვიფიქრე, რატომ ვლ. გობეჩიას უნდა მივუგზავნო კაცი, როდესაც ბინის რეკვიზიცია იოს. გობეჩიამ მოახდინა მეთქი. აბაკელიამ მითხრა, რომ მას უფრო შეუძლიან დაარწმუნოს დედა გადასვლის საჭიროებაშიო, რადგან აქ ჩამოსვლისასვე სასტუმრო „ორიანტში“ ჩამოხტნენ და ეს ცოტა არ იყოს სამძიმოა მათთვისაც. იმიტომ, რომ რაკი ბინა იშოვნეს საეჭვოა რომ გადასვლა ისურვოს სადმეო. თუ ვლადიმერი დაარწმუნა, დედაც გადავაო. მოსალაპარაკებლათ გავაგზავნეთ არაბიძე. რომელიც მობრუნდა და შემდეგი გადმომცა: „მართალიაო, ამბობს ვლადიმერი, სწუხს, მაგრამ ასე მითხრა. მე რა შუაში ვარ, ბინის რეკვიზიცია ხომ მე არ მომიხდენიაო და არც ვცხოვრობ იქაო, ბინა აიღო აბაკელიამ და ორი ოთახი მე დამითმოვო. აი რა შემომითვალა პირველად არაბიძის პირით: ძლიერ თანაგიგრძნობს, მაგრამ ის არაფერ შუაშია, რომ ბინა აბაკელიამ აიღო და ორი ოთახი დედას გადასცაო. შემდეგ აბაკელია მაინც იმედოვნებდა, რომ გააწყობდა რამეს, მაგრამ ვერაფერი ვერ შესძლო. არაბიძეს რომ ვთხოვე ვლ. გობეჩიასთან მოლაპარაკება და რო დამთანხმდა ისიც და წავიდა ყველამ იციან—ეს მოხდა დიდიასა და აბაკელიას თანდასწრებით; რომ საერთო თანხმობით გავგზავნეთ კაცი ვლ. გობეჩიასთან მოსალაპარაკებლათ, რომ როგორმე გამოგვეძებნა საშუალება ბინის განთავისუფლებისა და არა იმიტომ, რომ ვითომ ძალას გატანდით—გაანთავისუფლეო. რეკვიზიცია მართლაც იმას არ მოუხდენია და როდესაც მეორედ მოვიდა ჩემთან არაბიძე, გადმომცა, რომ ერთი კვირა მადროვოს და ბინას ვიშოვი სადმეო. მე დავმშვიდდი, რასაკვირველია და ამიტომ დროებით მინდოდა სადმე გადავსულვიყავ, რომ საჭირო სამუშაო მქონდა.

14—15—16 თიბათვეს სულ არ მოსულა ბინაზე აბაკელია, წინად კი ყოველ დღე დაიარებოდა; მერე კი რო მოვიდა მე და დიდია ერთად ვიყავით და მან მკითხა: „როგორაა საქმე, წავიდნენ, გადავიდენ თუ არა?“ მე მივუგე „არა“. „მეო, მითხრა მან, მისაყვედურეს, ვითომ მე ვაიძულებდე გობეჩიებს გადასვლას და ამიტომ არ მოვდიოდი ამ სამ დღესო“. მან სთქვა: „არამც თუ სამ დღეს, სულ უნდა გადავიდეს ხსენებულ ბინიდან, თუ ისინი არ გადავლენ“.

ამაზე მე ვუპასუხე: „საერთოდ ვერ იქნება ისეთი შეძლებლობა, რომ შეიძლებოდეს აქ ჩემი ცხოვრება ისე, როგორც ეგენი ცხოვრობენ, რომ არ შეუძლიანთ გადასვლა“. შემდეგ ისიც დამეთანხმა და მითხრა: „მართლა, მეც ვამჩნევ, რომ არ შეგეძლებათ მანდ ცხოვრება, ვერც მე შევძლებდი“. უნდა მოგახსენოთ, რომ მძიმე მდგომარეობა შეშეიქნა, ერთი წუთით დასვენება არ შეძეძლო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რადგან ღამით იშვიათად თუ რო დისმე მაქვს მშვიდობიანი ძილი. ერთად ერთი ჩემი დასვენება სადილს შემდეგაა მოსალოდნელი; დავიძინებ დაახლოვებით 5-6 საათს, ღამით კი სულ არა მაქვს ძილი. და აი იმ 18 დღის განმავლობაში, რაც ხანია ეგენი იქა ცხოვრობდენ, სრულიად მოკლებული ვიყავ მოსვენებას თვით მინადორამ და მაგათაც მნახეს 17 ან 18 და დიდიას ქალსა ჰკითხავდენ: „როგორც სცოცხლობს ეგ კაცი, რომ არც დღისით და არც ღამით სულ არ სძინავს, როგორ იტანს ამდენ უძილობას, რა აგებულებისაო?“ რასაკვირველია, ყველა ეს მაღელვებდა, არ შემეძლო ფიზიკურად ამის ატანა, მოსვენება დავკარგე, არც სადმე ჯდომა შემეძლო, არც სიარული. ვეხვეწებოდი, ვემუდარებოდი, დახმარებას კი არსაიდან ვხედავდი. არ ვიცოდი სად მესადილნა, დამელია ჩაი. ვფიქრობდი 18 თიბათვეს ან გობეჩიები გადავლენ, ან აბაკელია და ამ დროს ოლია დიდია მიამბობს, რომ იქ იყო სასტუმრო „ორიანტის“ პატრონი მაჭავარიანი და ისიცა სწუხს ასეთი უხერხული მდგომარეობის გამოვო. აბაკელია ყოფილა იმ დილას ბინაზე და უთქვამს: „ის სულაც არ ფიქრობს გადასვლას პირიქით დღეს მთლად გადმოდის“. ის ხომ არ გადმოსულა, მხოლოდ ბარგი გადმოზიდა. მაშინ გადავსწყვიტე რომ რადგან ის გადმოდის და რჩება, იმ შემთხვევაში სრულიად შეუძლებელია ჩემი აქ ცხოვრება და უნდა გადავიდე სადმე. ასევე გადავეცი მინადორასა და დიდიას, ავდექი და წავედი. შევიარე „ორიანტში“, „ინტერნაციონალში“; არ იყო თავისუფალი ბინა, შემდეგ უნივერსალში შევედი და იქ დერეფანში დიდი კამპანია დამხვდა: ჩემი ნაცნობთაგანნი იყვნენ, ძმები ბაქრაძენი, სამწუხაროდ უწყება ვერ ჩაუბარებიათ. არტილერიის აფიცრები ბაქრაძენი კონსტანტინე და პლატონი და კიდევ ოორი-სამი სხვა, რომელთა გვარიც არ მაგონდება. ერთი მათგანი აქ არის მაღალი, ახალგაზდა ყმაწვილია. „მობრძანდით, მობრძანდითო! მთხოვეს. დავჯექი. ღვინო შემომთავაზეს. დილის 11 საათი იქნებოდა. მე ვუთხარი, რომ ნომრის საქირავებლად მოვედი, თუნდ ორიც იყოს ერთად. ბაქრაძემ დაიწყო ცდა, მაგრამ მობრუნდა და მითხრა: „ყოვლად შეუძლებელია, პატრონი ამბობს, რომ დღეს არც ერთი ნომერი არ მოეძევება თავისუფალი და როგორც კი განთავისუფლდება, შეგინახავო.“ ვთხოვე: იმდენი პატივი მეცით, რომ თვით პატრონი დამიპატიჟეთ სუფრაზე“. მოვიდა პატრონიც ლორთქიფანიძე. ვეხვეწები: „შეძლება შომეცით, დავისვენო, მიყურეთ ერთი რასა ვგევარ, ვერსად დავისვენე, ერთი საათის მოსვენება არა მაქვს, მომიწყვეთ საქმე, რომ 2—3 საათი დავისვენო სადმე“. ჯერ უარი მითხრა, შემდეგ დათანხმდა: „ერთად-ერთი საშუალებაა—ჩემი ნომერი, თუ გსურთ საწოლს დავადგმევინებ“. მე, რასაკვირველია დავთანხმდი. მან მიჩვენა ნომერი და მითხრა: „აი, აქ დავადგმევინებ საწოლს და თუ გნებავთ, ბარგიც გადმოიტანეთო. მაშინ მივუბრუნდი იმ ახალგაზდათ, რომელთაც არ ვიცნობ და სხვებზე კი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, ვითომ არა მსურდეს თქმა, გამომძიებელს კი ვუჩვენე, რომ ის ორი ახალგაზდა ყმაწვილი ბაქრაძის ნათესავები არიან; ისინი დილით საღამომდე უსხდნენ მას, მაშასადამე მას ეცნობება ისინი; მიყავით სიკეთე და გამიგეთ ვინ იყვნენ მეთქი. მე დღესაც არ ვიცი მათი გვარი. ვთხოვე ხომ არ შეეძლოთ ჩემი ლოგინის გადმოტანა. ამის შემდეგ თურმე მთელ ღამეს განაგრძობდნეხ ქეიფს. არ ვიცი, იქ თუ სხვაგან. მე ის იყო მივედი და მომაწოდეს კიდეც ღვინით სავსე ჭიქა, და ყველა იქ დამსწრეთა სადღეგრძელო დამალევინეს. არ ვიცი, ვინ იყვნენ, 20 კაცი მაინც იქნებოდა. მე ძლიერ ცუდათ შევიქენი და საყვედურით მივმართე: „რაღა ღვინოს მაწვდით, თქვენ მთელ ღამეს გიქეიფნიათ“, სჭამდით, სვამდით, მე კი ჯერ არა მიჭამია-რა. თვით სასტუმროს პატრონმა შეუკვეთა რაღაც საჭმელი და მოიტანეს. ქეიფი გრძელდებოდა. შემდეგ მეუბნებიან: ავტომობილი მოიყვანესო. „რომელი ავტომობილი მეთქი“. „აი ბარგის გადმოსატანადო“. „წადით მეთქი“. „უთქვენოთ არ შეგვიძლიანო“. მეც დავთანხმდი. ბინაზე დამხვდნენ დიდია, შერვაშიძის და, და კიდევ სხვა. „აი გადავდივარ მეთქი“ ვუთხარი. დავიწყეთ ბარგის გამოტანა; ერთ ავტომობილში არ ჩაეტია; მე იქვე დავრჩი და ვუთხარი, რომ მობრუნებულიყვნენ. დანარჩენი ბარგი ჩავაწყვეთ, რომ ამ დროს გამოვიდა სახლიდან მინადორა. დიდია მეუბნება: „ნუ გადადიხართ“. მე ვუპასუხე: „ხომ ხედავთ, რა მდგომარეობაში ვარ აგერ 18 დღეა“. მან მაინც მირჩია: „ნუ გადადიხართ, არ გაგიშვებთ“. მინადორაც მირჩევდა დარჩენას, არა, კი არ მირჩევდა. ისე მეუბნებოდა, დღესაც არ ვიცი რად, ალბად იმიტომ, რომ ლაპარაკის სურვილი ჰქონდა. მას შეეძლო ეთქვა: „ოთახს დაგითმობთო“, მაგრამ არა: „ნუ გადადიხართ და ნუ გადადიხართო“. მე მივუბრუნდი მას: რას ჩამაციდი ნუ გადადიხარ, ნუ გადადიხარ, მაშ რავქნა, თქვენ თითონ ხედავთ ყოველ დილას, რა მდგომარეობაში ვარ. უნდა მოგახსენოდ, რომ ძლიერ აღელვებული ვიყავ და განსაკუთრებით გაბრაზებული ვიყავ სწორედ ამ მინადორაზე, რომელიც ყურადღებას არ აქცევდა ჩემ მდგომარეობას და დიდიაზეღაც კი ვიყავ გაჯავრებული. მე თითქმის ძალით გამოვვარდი იქიდან, რადგან არ მიშვებდნენ. უნდა მოგახსენოთ; რომ ისიც არ მახსოვს დანამდვილებით, მართლა მიმითითა ვინმემ თუ არა: „აგერ გობეჩიაო“. ვლ. გობეჩიას არასოდეს არა დაუშავებია-რა ჩემთვის და ვერც რაშიმე დავდებდი ბრალს. როგორც საბრალმდებლო ოქმშია ნათქვამი და მინადორაც ამოწმებს, რომ ვითომ მეთქვას ორივეს მოვკლამ აბაკელიასა და გობეჩიას, არ ვიცი რატომ არ ვესროლე ერთსაც და მეორესაც; არც ის მახსოვს, რა ვუთხარი, როდესაც მივუახლოვდი. საუბედურო—მხოლოდ მაშინ მოვედი ჭკუაზე, როდესაც ვისროლე რევოლვერი. „ეჰ—ჩემი მეფეო“ იდგა. მე მივმართე: „ეხლა მშვიდობით“, თავის მოკვლა მინდოდა, მაგრამ შვილი მწვდა მკლავში და შემაჩერა. მანამდე ორნი ისხდნენ ავტომობილში, შემდეგ კი აღარც ერთი არ იყო. მე ვთქვი: „მაშ წამიყვანეთ კომისარიატში, წამიყვანეთ“, მივედი კომისარიატში, შევედი და დანარჩენს კომისარი გიამბობთ, თუ რა მდგომარეობაში ვიყავ; რას ვწუხდი, როგორ ვიტანჯებოდი, რის გამო ამყამადაც ვიტანჯები, რად შემემთხვა ასეთი უბედურება, რომ ჩემი ხელით მოკვდა ის ადამიანი. უნდა მოგახსენოთ—ეს ისეთი მწუხარებაა, ისეთი უბედურება, რომ როდესაც კომისარიატში მივედი, სრულებითაც არა ვფიქრობდი არავითარ ჩვენების მიცემაზე, არავითარ თავდაცვაზე, არავითარ მოწმებზე, სრულებით დაკარგული მქონდა გონება, იმიტომ რომ ვფიქრობდი, თუ ის ადამიანი . . . . . იმ განყოფილების უფროსი, რომელმაც მიმიღო, განმარტავს, რაც მემართებოდა იმის გამო, რომ შემომაკვდა ადამიანი, ისეთი ადამიანი... როდესაც გადმომცეს, რომ გამომძიებელი და ბრალმდებელი მოვიდნენ დასაკითხავადო, ჩვენების მიცემა არ მინდოდა, სულ ერთი იყო ჩემთვის; მაგრამ შემდეგ ვიფიქრე, რომ მართლა იცოდეს ყველამ და სასამართლომ გაარჩიოს საქმე; როდესაც მე ნაწამებმა, შეურაცხყოფილმა გავიგე, რომ ხმები დადის, ვითომ ვემტერებოდი მოკლულს, როგორც რევოლიუციონერს—კონტრ-რევოლიუციონერი, რომ ვითომ ეს პოლიტიკური მკვლელობა იყო—გული მიკვდებოდა, შევწუხდი. ამ 20 წლის განმავლობაში რაც გამიკეთებია. აი რისთვის ვწუხდი, ამის შესახებ არა იცოდა-რა საზოგადოებამ; აი რისთვის მივმართე თავდაცვას.

თავმჯდ. გაფრთხილებთ, რომ უფლება გაქვთ არ უპასუხოდ, დასტოვოთ, როგორც ტრიბუნალის, აგრეთვე დამცველთა და სამოქალაქო მომჩივნის შეკითხვებზე. დანაშაულად არ ჩაგეთვლებათ თქვენ ეს. გვითხარით, ვისგან...

ბრალდებული: ნება მომეცით წყალი დავლიო... (მიაწვდიან წყალს).

თავმჯდომ: პირველად ვისგან შეიტყეთ თქვენი ბინის რეკვიზიციის შესახებ?

ბრალდებული: ჩემი ცოლისაგან.

თავმჯდომ. გახსოვთ თუ არა დაწვრილებით, რა სახით გადმოგცათ ბინის რეკვიზიციის შესახებ?

ბრალდებული: მან გადმომცა, რომ, როდესაც ბარგს ვაგზავნიდით, ეგონათ, ბინას ვანთავისუფლებდიო, შემდეგ წავიდნენ სარეკვიზიციო კომისიაში, მიიღეს საბუთი. როდესაც აბაკელია და გობეჩია მოვიდნენ, ყველაფერი აუხსნეს ჩემ ცოლს. თქმა არ უნდა, მათაც ეხსომებათ და შემდეგი გარემოებიდანაც სჩანს. ყოველ შემთხვევაში წავიდნენ სარეკვიზიციო კომისიაში. საქმე იმაშია, რომ ისინი ჯერ სარეკვიზიციო კომისიაში წავიდნენ და როდესაც იქიდან დაბრუნდნენ, ჩემსას ყოფილა ჩიქოვანი, რომელიც ჩემთან სცხოვრობდა და რომელიც ამხანაგია ყველა ჩემ საჯარო საქმეებში. ჩიქოვანმა უთხრა: „ჩვენ ხომ აქა ვცხოვრობთ, მაშ როგორ მოახდენთ რეკვიზიციას?“ ეტყობა აბაკელიას დაწვრილებით უხსნიდა და, როდესაც აბაკელიამაც შენიშნა, თუ როგორ მოქმედებდა ეს ჩემს ცოლზე, უთხრა: „ვხედავ როგორ ყვითლდებით, ფერსა ჰკარგავთ, მე როგორც ექიმი, ამას გამჩნევთ, გეთაყვა, ნუ ღელავთ და ნურც სწუხართ, ეხლავე დავხევ ამ ქაღალდს და მართლაც დახია. მაინც სთხოვა, რომ ერთი თუ არ ვიცი ორი ოთახი გობეჩიებისთვის გადაეცათ. პირველი, მეორე და მესამე ოთახები აიღო, და 200 მანეთი გადმომცაო. მე წყენით ვუთხარი, როგორ აიღე მეთქი. ცოლმა მიპასუხა: „არ ამილია, დაიწყო იქ და წავიდაო. სხვა გამოსავალი არ მქონდა“. სახლის პატრონმა ურჩია თურმე, ქმარს აცნობე ტელეგრამითო, მაგრამ ცოლს აღარ დაუკრავს ტელეგრამა, აღელდება და იქნება სხვა რაიმე საქმეში ხელი შეუშალოვო.

თავმჯდ. თქვენი მოუღლის სიტყვით ასე სჩანს, აბაკელია ძალით შემოიჭრა თქვენს ბინაზე.

ბრალდებული: არა, კი არ შემოიჭრა, მოვიდა და რეკვიზიცია მოახდინა.

თავმჯდ. 200 მანეთს იმ ოთხ ოთახში გაძლევდათ აბაკელია და თქვენი მეუღლეც დათანხმდა ფულის მიღებას?

ბრალდებული: ესე იგი, დიახ, თანახმა იყო, მას აუხსნეს, რომ თუ არ მათ. სულ ერთია, მილიცია ლტოლვილთ დაასახლებს ბინაზეო. ცოლი შეეფიქრიანდა. მასთან სახლის პატრონმაც ურჩია, სანამ ლტოლვილნი...

თავმჯდ. „უნივერსალში“ რომელ საათზე მიდით 18 რიცხვს?

ბრალდებული: ადრე იყო, დილით.

თავმჯდ. 10 საათი იქნებოდა?

ბრალდებული: დიახ, ასე ვფიქრობ. 5—6 საათზე ვდგები დილით; დიდ დროს არ გაუვლია ადგომიდან, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანდეს 11 საათისა.

თავმჯდომ: და მაშინვე სუფრას მოუჯექით ახალგაზდებთან?

ბრალდებული: მაშინვე. შევედი თუ არა, იქვე ჩავჯექი.

თავმჯდ. ავტომობილის მოსაყვანად შაშინვე გაგზავნეთ კაცი?

ბრალდებული: ავტომობილისთვის? ავტომობილი მოიყვანეს, რადგან ახალგაზდებს ბარგის გადმოტანა ვთხოვე.

თავმჯდ. მაშასადამე, სასტუმროში მისვლისას გახსოვდათ, რომ უნდა გადასულიყავით თქვენი ბინიდან?

ბრალდებული: მე სწორედ ამ მიზნით მივედი.

თავმჯდ. რა დროს წახვედით ბინაზე, რომელ საათზე?

ბრალდებული: რომელ საათზე, ეს შკვე გამორკვეულია ახლა, ეს იყო დაახლოვებით სამ საათზე.

თავმჯდ. მკვლელობამდე?

ბრალდებული: სამ საათზე.

თავმჯდ. ვრთი საათით ადრე მკვლელობამდე?

ბრალდებული: მეუბნებიან, რომ სამ საათზე იყოვო.

თავმჯდ. ავტომობილით მიხვედით ბინაზე?

ბრალდებული: დიახ.

თავმჯდ: ვინ აძლევდა ბარგის გამოტანის განკარგულებას?

ბრალდებული: მე ხომ იქ არავინ მყოლია რომ განკარგულება მიმეცა, მე თვითონ შევაგროვე და მომქონდა.

თავმჯდ: დანაშაულის ჩადენისთანავე დაგკითხათ ვინმემ, გახსოვთ რამე?

ბრალდებული: ბრალმდებლის ამხანაგმა.

თავმჯდ: პირველმა?

ბრალდებული: მე არ ვიცნობ მას. ნახვით კი ვნახე, მაგრამ ვერ ვიცნობ.

თავმჯდ: რომელ დაწესებულებაში დაგკითხეს?

ბრალდებული: ეს იქ, კომისარიატში.

თავმჯდ: მან ჩაიწერა თქვენი ჩვენება?

ბრალდებული! ჩაიწერა.

თავმჯდ: ჩვენებას ხელი მოაწერეთ?

ბრალდებული: მე აგრე მგონია.

თავმჯდ: თქვენ აგრე გგონიათ? ჩვენება არ წაუკითხავთ თქვენთვის?

ბრალდებული: არ მახსოვს.

თავმჯდ: გვითხარით ბრალდებულო, ვინმე თქვენი ნათესავი თუ იყო ავადნერვიული ავადმყოფობით შეპყრობილი?

ბრალდებული: თითქმის ყველანი: დედა, მამა, დები, ძმები.

თავმჯდ: მათ შორის ხომ არავინ იყო, რომ რაიმე სხეულის ნაკლულევანება ჰქონოდა?

ბრალდებული: სხეულის ნაკლულევანებით არ მახსოვს, მაგრამ ავადმყოფნი კი იყვნენ—ჰლექიანები. ორი ძმა ჰლექით მომიკვდა.

თავმჯდ: ღვიძლი ძმები?

ბრალდებული: ორი ღვიძლი ძმა: ერთი კობის პოლკის აფიცერი, მეორე უმცროსი შორშან გარდაიცვალა.

თავმჯდომ. ჭლექით დაიხოცნენ?

ბრალდებული: ჭლექით. ერთმა თავი მოიკლა. მამამაც თავი მოიკლა. მთელი ოჯახი ნერვების ავადმყოფობით იყო შეპყრობილი.

თავმჯდ: თქვენმა მამამ თავი მოიკლა?

ბრალდებული: დიახ, თავი მოიკლა.

თავმჯდ: თქვენ გქონიათ როდისმე რაიმე ავადმყოფობა?

ბრალდებული: ნევრალგიით....

თავმჯდ: მრავალი ავადმყოფობაა... კიდევ სხვა რა ავადმყოფობა გქონიათ? ექიმობდით ვისთანმე?

ბრალდებული: ვექიმობდი.

თავმჯდ: მერე და რას გეუბნებოდნენ ექიმები?

ბრალდებული: უმეტეს ნაწილად ნერვების აშლილობას მეუბნებოდნენ ერთხელ კავკავში ამიკრძალეს ექიმებმა ცხოვრება, შეორედ პეტროგრადში. 3—4 თვეს ვიწექი. მირჩევდნენ სხვაგან წასვლას, რადგან იქაური ჰაერი მოქმედებდა ნერვებზე. ბორჯომში 4 თვეს ვიყავ გულის ავადმყოფობით შეპყრობილი. გორში ნერვების ავადმყოფობით.

თავმჯდ: ვენერიული ავადმყოფობით?

ბრალდებული: არასოდეს.

თავმჯდ: გვითხარით თქვენი ოჯახური მდგომარეობა ბავშობის ხანაში, ვისთან იზრდებოდით?

ბრალდებული: ვიზრდებოდი მამასთან....

თავმჯდომ: სწავლობდით სადმე?

ბრალდებული: კლასიკურ გიმნაზიაში.

თავმჯდ: გაათავეთ?

ბრალდებული: არა. მეხუთე კლასიდან გამოვედი.

თავმჯდ: რად გამოხვედით? ავადმყოფობის გამო ხომ არა?

ბრალდებული: მამა მომიკვდა. ოჯახი ხელმოკლეობას განიცდიდა.

თავმჯდ: გიმნაზიიდან გამოსვლის შემდეგ რას აკეთებდი?

ბრალდებული: სახლში ვიყავ, მეურნეობას მოვკიდე ხელი სოფელში.

თავმჯდ. მეურნეობას შოჰკიდეთ ხელი?

ბრალდებული: დიახ.

თავმჯდ. საკუთარი სახლ-კარი გქონდათ?

ბრალდებული. დიახ. 17—18 წლამდე. . . .

თავმჯდ: შემდეგ რით სცხოვრობდით?

ბრალდებული: იმ ხანებში უბედურება შემემთხვა.

თავმჯდ: კაცი შემოგაკვდათ?

ბრალდებული: სამი წლის ციხე გადამიწყვიტეს

თავმჯდ: სად, როდის მოიხადეთ სასჯელი?

ბრალდებული: 94 წელს. — — —

თავმჯდომ: ტატიევის საქმეზე გადაგიწყვიტეს?

ბრალდებული: ტატიევის საქმეზე გადამასახლეს, სამ წელიწადს ციხეში ვიჯექ და შემდეგ ციმბირში გადამასახლეს. იქ საზოგადო საქმეებში ვიღებდი მონაწილეობას, აგრეთვე მანჯურიაში საზოგადოების წარმომადგენელი ვიყავ, სხვადასხვა საზოგადოებებში ვმუშაობდი.

თავმჯდ: ამ მკვლელობამდე რას აკეთებდით?

ბრალდებული: იჯარებს ვიღებდი, სახლში მეურნეობას ვეწეოდი, სახლი მქონდა. ამ 4 წლის განმავლობაში სულ ვმუშაობდი და ამით ვცხოვრობდი; საინჟენერო—საალმშენებლო. . . .

თავმჯდ: როგორ მიგდიოდათ საქმეები?

ბრალდებული: კარგად. ჯერ კიდევ არ არის საქმეები მთლად დასრულებული

თავმჯდ: რა სახით იჩენს ხოლმე თავს ავადმყოფობა?

ბრალდებული: რომელი ავადმყოფობა?

თავმჯდ: ნერვიული. თქვენ ამბობთ, რომ ნერვების ავადმყოფობა გაქვთ; აი რაში გამოიხატებოდა ეს ავადმყოფობა?

ბრალდებული: ბევრნაირად. უპირველეს ყოვლისა საშინელი თავის ტკივილი მქონდა, ღამით თითქმის არასოდეს არ მეძინა. ამ 20 წლის განმავლობაში არ მახსოვს რომ 2 საათზე მეტი მძინებოდეს ღამეში.

თავმჯდ: უძილობა გქონდათ?

ბრალდებული. დიახ, უძილობა. ამას გარდა სულ უმნიშვნელო აღელვება ისე მაბრაზებდა, რომ თავდავიწყებამდე მივყავდი. თავის ტკივილ.....

თავმჯდ: არ გახსოვთ, რავდენი წლის იქნებოდი, როდესაც თავის ტკივილი, უძილობა დაგჩემდათ?

ბრალდებული: არ მახსოვს, თითქმის მთელ ჩემს სიცოცხლეში.

თავმჯდ: როდისმე ხომ არ ყოფილხართ დაპრილი?

ბრალდებული: ოთხჯერ. ფეხში ვიყავ დაპრილი.

თავმჯდ: რავდენი ხნის წინედ?

ბრალდებული: რუსეთ—იაპონიის ომში, 1915 წელს, 1894 წელს, 1908 წელს ზურგში.

ტრიბუნ. წევ. დ. თქვენ იცნობდით განსვენებულ ვლ. გობეჩიას?

ბრალდებული: როგორ არა, ვიცნობდი. გრიგოლ ნიკოლოზის ძე დიასამიძემ გამაცნო და განმიმარტა, თუ ვინ არის ვლ. გობეჩია, რა ადამიანია იგი. ჩემი წარდგენის დროს კი ასე უთხრა: „ეს არის კოლია წულიკიძე, რომლის სრული იმედი ჩვენც უნდა გვქონდეს“. ერთი სიტყვით, დიდი პატივისცემით მეპყრობოდა.

ტრ. წევ. დ.: როდის გაიცანით?

ბრალდებული: 3—4—5 თვის წინედ.

ტრ. წევ. დ.: ვლ. გობეჩიასთან ხომ იდგა ვინმე?

ბრალდებული: როდესაც გავიცანი?

ტრ. წევ. დ: არა, არა; აი იმ დროს, როდესაც თქვენ ესროლეთ.

ბრალდებული: მისი ძმა იოსები იყო.

ტრ. წევ. დ. თქვენ გაიგეთ, თქვენ იცოდით, რომ თქვენი ბინის რეკვიზიცია ვლადიმერმა არ მოახდინა?

ბრალდებული: როგორ არ ვიცოდი. საბუთი არის, რომ ბინის რეკვიზიციასთან მას არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონია.

ტრ. წევ. დ. თქვენ იცოდით, რომ იოსები იღებდა მონაწილეობას?

ბრალდებული: ცოლი რომ ჩამოვიდა, მითხრა, რომ გობეჩიები გადმოვიდნენო. მითხრა, რომ მისი ძმა იოსები და ექიმი მოვიდნენო.

ტრ. წევ. დ: მაშასადამე, თქვენ იცოდით, კარგად იცოდით, რომ ვლადიმერს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ბინის რეკვიზიციაში. თქვენ ისიც იცოდით, რომ მისი ძმა იოსები იღებდა მონაწილეობას და მაინც იოსებს კი არ ესროლეთ რევოლვერი, არამედ ვლადიმერს როგორ მოსდა ეს? ვლადიმერს რად ესროლეთ, შეცდომით ხომ არა?

ბრალდებული: არავითარი შეცდომა არ არის აქ. მე არც ერთისათვის არ მინდოდა სროლა. წინალამეს შემხვდა ბ. ტუმანოვი გოლოვინის პროსპექტზე, მასთან იდგნენ იოსები და ვლადიმერ გობეჩიები. მივუახლოვდი, ვიბაასეთ. მე მხოლოდ ვლადიმერს იხვ ვუგზავნიდი კაცს „ფორმისათვის“, რომ დედამისი გადასულიყო იქიდან. მე ვიცოდი, რომ ვლადიმერს არაფერი საერთო არა ჰქონია რეკვიზიციასთან; ექიმმა აბაკნლიამ კი იცოდა, რომ ისე „ფორმისათვის“ ვუგზავნიდი კაცს, რომ დაეჯერებინა დედა მისი გადასვლის აუცილებლობაში, შემოქმედნა დედაზე. ეს ხომ ჩვენ გამოვიყენეთ ვლადიმერი საშუალებათ, რომ დედა მისი გადასულიყო და ვლადიმერი შეგვპირდა, რომ ყოველ ზომებს მივიღებო.

ტრ. წევ. დ: რავდენადაც იცით, ის ხომ ხელს არ უშლიდა გადასვლას?

ბრალდებული: პირიქით. ასეც რომ ყოფილიყო, მაინც რად ვესროდი?!

ტრ. წევ, დ: მანამდე არ ემუქრებოდით, რომ ერთსაც და მეორესაც მოჰკლავთ?

ბრალდებული: რაზე დავემუქრებოდი? რად უნდა დავემუქრებოდი? რა უნდა შომბდარიყო ისეთი, რომ ისინი მომეკლა?

ტრ. წევ. დ: მაშ თქვენ თვითონ არ იცით, მკვლელობა როგორ ჩაიდინეთ?

ბრალდებული: დიახ დიახ...

ტრ. წევ. დ: რეკვიზიციამდე გადაგქონდათ ბარგი თქვენი ბინიდან, მაშასადამე ანთავისუფლებდით ბინას?

ბრალდებული: სოფელში წასვლის დროს გადაგვქონდა ბარგი იმიტომ რომ იქ ვერ ვიშოვნიდით, მაგიდას, სკამებს და სხვ. ამიტომ გადამქონდა ბარგი. უნდა მოგახსენოთ, რომ მაინც და მაინც ბევრი არა ყოფილა ბარგი. ცოლი კავკავიდან ჩამომივიდა, შე კი აქ მარტოხელივით ვცხოვრობდი. სკამები რო მქონოდა, როდესაც ჩემთან მუშები მოდიოდენ, ხან ერთ ოთახში ვათავსებდი, ხან მეორეში.

პარტიაში.

ოთხშაბათს, 22 აგვისტოს სოც.-რევ. ფრაქციის ოთახში მოხდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის კრება, სხვა და სხვა საყურადღებო საკითხების განსახილველათ. კრებას დაესწრენ აგრეთვე ფრაქციის წევრები.

დღეს ვაჟთა პირველ გიმნაზიაში, საღამოს 7 საათზე, მოხდება თბილისის ს. რ. ორგანიზაციის წევრთა კრება.

პროვინცია.

(საკ. კორ. 8 აგვისტო)

(ზუგდიდის მაზრა, ქუთაისის გუბ.).

ქ. ზუგდიდი და ზუგდიდის მაზრა განიცდის უფრო ამ უკანასკნელ დროს პირდაპირ აუტანელ მდგომარეობას. ე. წ. ბოლშევიკები ყოველი სოფლებიდან ირგვლივ შემოერტყა ქალაქს და ემუქრება მას დაპყრობით და განადგურებით. ჩვენ პარტიულ ორგანოში „რევოლიუციონურ ნობათში“ უკვე იყო რამოდენიმე წერილი მოთავსებული იმის შესახებ, თუ რა შავი დღეები დაადგა ქ. ზუგდიდს, სამურზაყანოდან წამოსულ ბოლშევიკებისაგან. ჯარი ქალაქში არ იყო, მაგრამ შეიარაღებული მოქალაქეები მარჯვედ დაუხვდა თავის მტრებს და დაამარცხა. თუ მაშინ ბოლშევიკები სამურზაყანოდან იყვნენ წამოსული და ადგილობრივი მაზრის ე. წ. ბოლშევიკები იშვიათად ღებულობდენ მონაწილეობას, ამ ბოლო დროს კი სოფლებიდან შემოესია ქ. ზუგდიდს ათასნაირი ჯურის ხალხი და დღე და ღამე ქალაქს ესვრიან. იმისთანა ღამეები არის, როდესაც ყოველ-მხრივ სროლაა. შეიარაღებული მოქალაქეები და ჯარი მძლავრი პასუხით ესალმებიან, ისმის თოფების ტყვიების მუდმივი სტვენა, ზარბაზნების გუგუნი, აგრეთვე ხმარებაშია ტყვიის-მფრქვეველები. ხალხი შიშ-ზარ დაცემული ჩამალულა სადღაც სოროებში, სახლების ქვევით გაკეთებულ თხრილებში და ასე ატარებენ ღამეებს. ქალაქის ახლო-მახლო უბნებიდან სალამობით მორბის ქალი, კაცი და ბავშვი ქალაქში და იმალება სადმე დუქნების შენობებში ან სხვაგან. ხსნას ელის ან ქუთაისიდან, ან სოხუმიდან გენერალ მაზნიაშვილისაგან. მაგრამ დიდი ხანია იმედი არ მართლდება. ადგილობრივ ბულვარში, სადაც ათასნაირ მოხეტიალეს შეხვდებით, ვრცელდება ბევრი სხვადასხვა ხმა. ქალაქში შიმშილობაა, სოფლებიდან არაფერს უშვებენ ბოლშევიკები, არ შემოაქვთ არც ყველი, არც ფქვილი და სხვა. ფუთი სიმინდის ფქვილი ფასობს ას მანეთზე მეტს, და არც იშოვება. საერთოდ დიდი კრიტიკული მდგომარეობაა. ზოგიერთი იმედ დაკარგული გაიძახის: ნეტავ ან ერთი მხარე აჯობებდეს, ან მეორეო, მოგვბეზრდა ყველაფერი ესო. მაგრამ ყველას გაეგება: თუ ეს ბრბო შემოესია ქალაქს, მას ერთიანად აიკლებს, მოხდება ცარცვა-გლეჯა, საერთოდ განადგურება.

ახლა ვიკითხოთ: ვინ არიან ეს ზუგდიდელი ბოლშევიკები? თუ პირველად ფართო მასა ფიქრობდა ბოლშევიკობით ადგილობრივი მენშევიკების ორგანიზაციის ჯგუფური პოლიტიკის მოსპობას, ამ ბოლო დროს კი იმასაც ხედავენ, რომ ამ გამოსვლებმა საქმის ვითარება კიდევ უფრო გააუარესა. ყველასათვის აშკარაა, რომ საქმე გაამწვავა მენშევიკების აგენტების უტაქტო მოქმედებამ: თოლორდავებმა, ანთელავებმა და სხვ. როდესაც ჩვენ ამაზე უთითებთ, არ ეპაშნიკებათ სიმართლე, და შაშინათვე გვემუქრებიან: დაგიჭერთო. თუ საღი პოლიტიკა არ იქნა, დაჭერა ვერაფერს გახდება. ჩვენ ყოველთვის ვიტყვით სიმართლეს საქმის გამოსასწორებლად. ჩვენ თუ ს. თოლორდავას წინააღმდეგ სხვათა შორის გავილაშქრეთ, არა პირადული ინტერესით, არამედ ჩვენ აქ დავისახეთ საზოგადოებრივი მიზანი, რათა ფართო მასა დაგვეცვა ამ ავანტიურისტისგან. მარტო ამ ბოლო დროს მოვიდნენ ამის შესახებ გონს და კიდევაც ს. თოლორდავა, ყოფილი ზუგდიდის მაზრის კომისარი, ციხეში მოსახლეობს.

რაც შეეხება კოლია ანთელავას, რომელიც ითვლებოდა რაზმის უფროსად, მას დიდი ღვაწლი მიუძღვის აბასტუმანნარაზენის „შტაბის“ გაჩენაში, რომელიც დღეს ბუდეა ბოლშევიკების.

როგორც ზევით ვთქვით, ფართო მასას ამ ბოლშევიკებმა თავი მოაბეზრეს. სოფლებში გახშირდა ცარცვა-გლეჯა, კაცის კვლა, ადამიანების მოტაცება. მიმოსვლა შეუძლებელი ხდება. დელეგნები სენაკიდან ამ ბოლო დროს არ დადის, ასე რომ არც გაზეთი, არც ფოსტა, არც არავითარი ცნობები ცენტრიდან. სოფლებში შიმშილობაა, მაგრამ ბოლშევიკების მოთხოვნით საქმელი მათთვის უნდა დაამზადონ. ხდება მათი განკარგულებით მობილიზაცია, კონფისკაცია ცხენების, თოფ-იარაღის. სოფლებში ხშირად ხდება ძალმომრეობა. თუ მომქმედ ბოლშევიკების ჯარში არ ჩაეწერე წუთისოფელს გამოგასალმებენ. სოფლის მუშა ვისი მსხვერპლი გახდება არ იცის, მისი დაცვა არავის შეუძლია. ხშირად ადგილი აქვს შემდეგ შემთხვევებს: მოდიან შეიარაღებულები ვინმესთან ბოლშევიკების სახელით, გაცარცავენ ან მოკლავენ ვინმეს და მერე გაქრებიან. პასუხი არავის მოეთხოვება, ადმინისტრაცია ზუგდიდის მაზრის სოფლებში არ არის. რა საკვირველია, ხალხს მობეზრდა ეს აუწერელი არევ-დარევა ის დიდად მოიქანცა და ეძებს გამოსავალს, მაგრამ ვერ უპოვნია ჯერჯერობით. თუ ჩვენი ხალხი სასურველად არ არის შეგნებული, ამის წყარო უნდა ეძებოთ მის გარეთ. მას სწადია წესრიგის აღდგენა და სამართლიანი, ავტორიტეტული, მცოდნე და გავლენიანი მთავრობა მაზრაში. ის ეძებს მაზრის იქით თბილისში რეალურ ძალას, რომელიც მათ გაჭირვებიდან გამოიყვანს.

ხალხში ათასნაირ პროვოკაციას აქვს ადგილი, ე. წ. ბოლშევიკები ისე უხატავენ ყველაფერს, ვითომ მათ ხელში იყოს მთელი დედა-მიწა.

ბოლშევიკებში მოკალათებულია დიდძალი მშრომელი გლეხობა, რომელსაც არც კი გაეგება თუ რა არის ბოლშევიკობა. გეტყვის ამ კატეგორიის გლეხმე არ მსურს ადგილობრივი მთავრობის მეთაურები, ჩვენ ავირჩიეთ და ჩვენ ან გვეკარებიან, მოდიან ჩვენთან ზარბაზნებით, ცეცხლი და მახვილითო, ვის შეეფაროთ თავი არ ვიცითო. ამ გლეხობის დიდი ნაწილთან საღი გზით მორიგება შეიძლება და სისხლის ღვრასაც ავცილდებით. გუბერნიის მთავრობაც შეუდგა მოლაპარაკებას, მაგრამ ბევრ ადგილობრივი პროვოკატორი აღმოჩნდა ამ საქმის ხელის შემშლელი.

წინდახედული ნაბიჯები ხალხს ხიფათს აცდენს. ადმინისტრაციამ მეტი გამჭრიახობა და უნარი უნდა გამოიჩინოს ანარქიის ჩაქრობის საქმეში. მარტო რეპრესიები მდგომარეობას უფრო გაამწვავებს. საჭიროა კულტურული საშუალებებიც.

რევოლიუციონერი.

დ. ტყიბული. ამ დღეებში ტყიბულიდან წავიდა ქვანახშირის მაღაროების ყოფილი გამგე ინჟინერი ზრიანინი, რომელსაც კარგად იცნობდა ტყიბულის საზოგადოება და რომლის წასვლამაც საერთო მწუხარება გამოიწვია ადგილობრივ ინტელიგენციის შორის, უნდა აღვნიშნოთ, რომ ტყიბულის მცხოვრებთ მრავალი ინჟინრები გაუსტუმრებია ტყიბულის მაღაროებიდან, მაგრამ არც ერთ მათგანს არ გაჰყოლია თან ის ღრმა პატივისცემა როგორც ინჟინერ ა. ნ. ზრიანინს. ეს იმით აიხსნება, რომ არცერთ მათგანი არ სცდილა რაიმე კულტურული კვალი დაეშნია ამ ჩამორჩენილ დაბისათვის. ინჟინერი ზრიანინი პირველი მერცხალი შეიქმნა, რომელმაც ადგილობრივ მცხოვრებთ ამცნო, რომ მათ უფლება ქონდათ მცირეოდენი თანხა მაინც მიეღოთ ქვანახშირის მაღაროებიდან ამ ჩამორჩენილ დაბის კულტურულ საჭიროებისათვის. მისი დახმარებით ტყიბულმა შეიძინა სახალხო სახლი (რომელიც ამ მოკლე ხანში დამთავრდება) იგივე პირდებოდა საავადმყოფოსა და შკოლის შენობების აგებას. გეგმა ამ შენობისა უკვე მზათ იყო, მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ინჟინერის წასვლამ ეს სურვილი ადგილობრივ ინტელიგენციისა, რომელიც ასე ახლო იყო განხორციელებასთან მომავლის საკითხად გადააქცია და არც არავინ იცის ელირსება იგი განხორციელებას თუ არა?

ზრიანინი დიდხანს არ ყოფილა ტყიბულში, მაგრამ მან მაინც შესძლო მუშებში და საერთოდ საზოგადოებაში პატივისცემა დაემსახურებია. იშვიათად შეხვდებით მაღაროს მუშას, რომ მის წასვლას არ ნაღვლობდეს, მაზედ უკმაყოფილო იყოს. საზოგადო კრებაზე მუშებმა გამოიტანეს რეზოლიუცია, რომ თუ შესაძლებელი იყო იგი დარჩენილიყო თავის თანამდებობაზე.

სახალხო სახლის საამშენებლო კომისიამ მისდამი პატივისცემის აღსანიშნავად გამოსამშვიდობებელი ვახშამი გამართა, სადაც თავი მოიყარა ტყიბულის მთელმა ინტელიგენციამ. დამსწრეთ მოკლე, მაგრამ გრძნობიერი სიტყვით მიმართა ზრიანინმა და უსურვა ტყიბულს კულტურული აღორძინება და წინ მსვლელობა. მაღაროების წარმოების გაფართოება. მე გულ ახდილათ მივედი მუშებთან, მათთან მეგობრული კავშირი მეპირა და გამოცდილებამ დამანახვა, რომ ასეთი ჩემი მოქმედება უნაყოფოდ არ დარჩა. ჩვენ მხოლოდ სახალხო სახლის შენობის დაწყება მოვასწარით, მაგრამ იმედი მაქვს რომ საერთო ძალით არც იმ სურვილებს დატოვებთ განუხორციელებელს, რომლის სისრულეში მოყვანა, სამწუხაროდ, მე ვერ მოვასწარი.

ჩვენც ვისურვებთ, რომ ახალ გამგებსაც ქვანახშირის მაღაროებისას გამოეჩინოთ ხალხზე მზრუნველობა.

ხალხოხანი.

რედაქტორი სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი ცენტრალური კომიტეტი.

თბილისი, სტამბა ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობისა, გოლოვინის ქუჩა № 26.